დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (ლენინგრადი). 2:2 (1:1).
თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 29 ივლისი.
მსაჯი: ვ. მორგუნოვი (მოსკოვი).

მიმდინარე გათამაშებაში არც ერთი გუნდი ისე არ “დაზარალებულა”, როგორც თბილისის “დინამო”. აი, უკვე მეხუთე თამაშია, რაც გუნდს აკლია ხან ხუთი, ხან ექვსი ძირითადი მოთამაშე.

ასე იყო ამჯერადაც. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ სათადარიგო მოთამაშეები ყოველ ღონეს იხმარდნენ “დანაკლისის” შესავსებად, მაგრამ მათმა თამაშმა მაყურებელთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ჭკუასელი, ვარდიმიადი და მახარაძე მოუნდომებლად და უინიციატივოდ თამაშობდნენ. ასეთი უგულო დამოკიდებულება გუნდის ინტერესებისადმი არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ლენინგრადელებმა პირველი წუთებიდანვე მედგრად შეუტიეს მასპინძლებს და მარტივი, მაგრამ სწრაფი კომბინაციებით რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. თბილისელთა დაცვა კარგა ხანს იგერიებდა ამ იერიშებს, სანამ მე–18 წუთზე უყურადღებოდ დარჩენილმა ფომინმა (# 7), რომელმაც მოულოდნელად გადაინაცვლა ცენტრში, ძლიერი დარტყმით ანგარიში არ გახსნა.

გარდატეხა თბილისელთა თამაშში მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა დაშავებული თოდრიას ნაცვლად მოედანზე კ. გაგნიძე გამოვიდა. 31–ე წუთზე გაგნიძემ და ჭკუასელმა სწრაფად გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია, რომელიც ღოღობერიძის საპასუხო გოლით დაგვირგვინდა და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 1:1.

შეხვედრის მეორე ნახევარი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. სტუმრების კართან ზედიზედ იქმნება სახიფათო მომენტები და მე–13 წუთზე თბილისელები 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (ღოღობერიძე) ანგარიშს ადიდებენ – 2:1.

იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება, ლენინგრადელებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თამაში და მიზანსაც მიაღწიეს: 30–ე წუთზე კოლობოვმა ახლო მანძილიდან ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში გაგზავნა.

თბილისელები თითქოს შეურიგდნენ ფრიად საჭირო ქულის დაკარგვას. დარჩენილ წუთებში ისინი კვლავ უპასუხისმგებლოდ, ყოველგვარი მონდომების გარეშე თამაშობდნენ და შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 2:2.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა – 2:1.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 3 აგვისტო 1951 წ.